



წინა საარჩევნო აგიტაციის წესების დარღვევა

2016 წლის 16 ივნისს ქალაქ რუსთავში დაგეგმილი იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარობის კანდიდატების წარდგენა. მაჟორიტარობის კანდიდატების წარდგენას დაემთხვა უამინდობა. ნაციონალური მოძრაობის ლიდერებმა მისულ მხარდამჭერებს მოუწოდეს თავი წვიმისაგან იქვე იუსტიციის სახლისა და ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის შეეფარებინათ. მიუხედავად იმისა, რომ წინასარჩევნო აგიტაციის ჩატარება აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში აკრძალულია, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერების აღნიშნულ შენობებში შესვლის შემდეგ, შეკრებილ მოსახლეობას პოლიტიკური შინაარსის განცხადებებით მიმართა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერმა დავით ბაქრაძემ. მიმართვის შემდეგ ლიდერებმა შეკრებილებს დაშლისა და მაჟორიტარების წარდგენის სხვა დროისათვის გადადება შესთავაზეს.